ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №57

აბაშა, 2022 წლის 31 ოქტომბერი

აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მოწონებულ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი პროექტების შესახებ (პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად, დანართი 1 ფურცელი).
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ხოშტ... ბელა ხოშტარია

ინფრასტრუქტურული პროქტები

| N | განსახორციელებელი პროექტების მდებარეობა | სამუშაოს დასახელება |
|---|---|---|
| 1 | სოფ.ტყვირი | სოფელ ტყვირში N5 ქუჩიდან ტყვირის ტაძრის მიმართულებით გზის მოწყობა |
| 2 | სოფ.ძველი აბაშა | სოფელ ძვ.აბაშაში N1 ქუჩაზე ორფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა |

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია